დიანა მჭედლიშვილი

ესტონეთის ბიზნესის სკოლა

‘’Erasmus+ ადმინისტრაციული მობილობის პროგრამის ფარგლებში მქონდა შესაძლებლობა ვწვეოდი ქალაქ ტალინის ესტონეთის ბიზნესის სკოლას. აღნიშნული მობილობის ფარგლებში მქონა შესაძლებლობა შევხვედროდი კვლევისა და განვითარების პროგრამის ხელმძღვანელს, საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელს და აკადემიური პროცესების ოფისის უფროსს.

შეხვედრებზე ვისაუბრეთ აკრედიტაციის პროცესების სპეციფიკაზე, საბაკალავრო და სადოქტორო პროგრამების შემუშავების, განვითარების და განხორციელების თავისებურებებზე, თანამშრომლობის გაფართოებაზე სადოქტორო საფეხურზე, ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების სამომავლო პერსპექტივებზე, ერთობლივი კვლევითი პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაზე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე, სტუდენტების მოზიდვის, ჩარიცხვის და მობილობის პროცედურებზე.

მქონდა შესაძლებლობა წარმედგინა კავკასიის უნივერსიტეტი და გამეზიარებინა მათთვის ჩვენი საუკეთესო გამოცდილება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმებსა და საგანმანათლებლო პროცესების განხორციელების შესახებ."